www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება საწარმოებში

2021 წელი

30.05.2022

www.geostat.ge

30.05.2022

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება საწარმოებში
გამოკვლევის ძირითადი შედეგები
(2021 წელი)

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საწარმოთა 84.2 პროცენტს ჰქონდა წვდომა ინტერნეტთან. ამასთან, საწარმოთა 75.3 პროცენტი ინტერნეტთან კავშირის უზრუნველსაყოფად იყენებდა ფიქსირებული კავშირის ისეთ საშუალებებს, როგორიცაა ოპტიკურ-ბოჭკოვანი (FTTH), საკაბელო ტექნოლოგიები, DSL კავშირი (ADSL, SDSL, VDSL) და ა.შ.

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს იმ საწარმოთა პროცენტულ განაწილებას ინტერნეტის სიჩქარის მიხედვით, რომელთაც ინტერნეტზე ჰქონდათ წვდომა 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

ინტერნეტთან კავშირის საშუალო სიჩქარე საწარმოებში, 2021 (%)



30.05.2022

2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საწარმოებში დასაქმებულთა 28.8 პროცენტი იყენებდა საწარმოს კუთვნილ პორტატულ კომპიუტერს ან სმარტფონს, რომელიც უზრუნველყოფდა ინტერნეტთან კავშირს (მხოლოდ საწარმოს მიზნებისთვის), ხოლო იმ საწარმოთა პროცენტული წილი, რომლებიც იყენებდნენ ვებ-გვერდს ან ვებ-საიტს, განისაზღვრა 13.4 პროცენტით.

სამიზნე საწარმოთა ვებ-გვერდებს ან ვებ-საიტებს გააჩნდათ შემდეგი ტიპის შესაძლებლობები/საშუალებები:

საწარმოთა ვებსაიტის ან ვებგვერდის შესაძლებლობები/საშუალებები, 2021 (%)



საწარმოები ძირითადად იყენებდნენ სოციალური მედიის ისეთ სახეებს, როგორიცაა სოცია-ლური ქსელი (Facebook, Linkedin და ა.შ.) – 31.1 პროცენტი, ხოლო საწარმოთა 67.9 პროცენტი საერთოდ არ იყენებდა სოციალური მედიის საშუალებებს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

ალექსანდრე არაბული ტელ: 2 36 72 10 (200), E-mail: aarabuli@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge